დეა დაშნიანი

FH Joanneum University of Applied Sciences, ავსტრია

კავკასიის ბიზნესის სკოლა

“Erasmus-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ავსტრიის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში FH JOANNEUM|University of Applied Sciences სწავლა იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გამოცდილება.

მქონდა შესაძლებლობა, მიმეღო უმაღლესი განათლება პროფესიონალებისგან, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ მრავალწლიანი გამოცდილება მსოფლიოს წამყვან კომპანიებში. გარდა ამისა, მსოფლიოს ყველა წერტილიდან გავიჩინე მეგობრები, რომელთაგანაც ასევე უამრავი რამ ვისწავლე, და მათთან ერთად დავაგროვე საუკეთესო მოგონებები. გაცვლითი პროგრამა იძლევა პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას, რადგან უამრავი სირთულის დამოუკიდებლად გამკლავება სრულიად უცხო გარემოში, აყალიბებს მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, რომლებიც გვეხმარება მომავალ კარიერულ განვითარებაში.”